აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1

16 მარტი 2007 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თანდართული საშტატო განრიგი:

ა) დანართი №1 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრები);

ბ) დანართი №2 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი);

გ) დანართი №3 (საოლქო საარჩევნო კომისიები).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 18 იანვრის № 1 (გაზეთი „აჭარა" 19. 01. 06. წ № 8) დადგენილება უმაღლეს საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1-ლი აპრილიდან.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია

დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის
№1 დადგენილებით

დანართი №1

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრები

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, ხელფასი
1	თავმჯდომარე	1	2000
2	თავმჯდომარის მოადგილე	1	1650
3	კომისიის მდივანი	1	1600
4	კომისიის წევრი	4	1300
	სულ	**7**	

დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის
№1 დადგენილებით

დანართი №2

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, ხელფასი
1	საერთო სამსახური	1	
	უფროსი	1	700
2	საორგანიზაციო სამსახური	1	
	უფროსი	1	700
3	იურიდიული სამსახური	2	
	უფროსი	1	700
	სპეციალისტი	1	280
4	ეკონომიკური სამსახური	1	
	უფროსი	1	700
5	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	2	
	უფროსი	1	700
	სპეციალისტი	1	280
6	კადრების სამსახური	1	
	უფროსი	1	700
7	თავმჯდომარის თანაშემწე	1	700
8	რეფერენტი	1	500
9	დამხმარე მოსამსახურე	2	
	მძღოლი	1	270
	დამლაგებელი	1	170
	სულ	12	

დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის
№1 დადგენილებით

დანართი №3

საოლქო საარჩევნო კომისიები

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, ხელფასი
1	საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	12	250